„მოვისმინო“, „გავიგონო“ – ეფექტური კომუნიკაციის პირობები გაკვეთილზე

ავტორი მაია ფირჩხაძე

ადამიანები მთელი ცხოვრების განმავლობაში ურთიერთობენ ერთმანეთთან. მეცნიერების გამოთვლით, ის დრო, რომელსაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობაში ხარჯავენ, შემდეგნაირად იყოფა:

- კომუნიკაციის 9% იხარჯება წერაზე;
- 16% – კითხვაზე;
- 35% – საუბარზე;
- 40% – მოსმენაზე.

შესაბამისად, მოსმენა და გაგება ეფექტური კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა. ზოგადად ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს საუბარი, დიალოგი. ჩვეულებრივ ერთი საუბრობს და მეორე მოუთმენლად ელოდება, როდის დადგება მისი ჯერი.

მოსმენის სახეებია:

- **საერთოდ არმოსმენა** (დამახასიათებელი ნიშნები: როცა მსმენელი აქეთ-იქეთ იცქირება, აბდაუბდად პასუხობს, თან რაღაცას აკეთებს, ინფორმაციას ყურში არც უშვებს..);
- **ვითომ მოსმენა** (დამახასიათებელი ნიშნები: ისეთი სახე აქვს, ვითომ ისმენს, სინამდვილეში არ ისმენს, დროდადრო წამოისვრის ფრაზებს – „გასაგებია“, „დიახ“...);
- **შერჩევით მოსმენა** (დამახასიათებელი ნიშნები: პასიური მოსმენა, ხან ისმენს, ხან-არა... ალაგ-ალაგ ისმენს... იმას „იჭერს“, რაც უნდა.. გაიგო მხოლოდ კონტექსტი..);
- **აქტიური მოსმენა** (დამახასიათებელი ნიშნები: მხედველობითი კონტაქტი თანამოსაუბრესთან; შინაარსის შესაბამისი ემოციური გამომეტყველება; ცალკეული ფრაზებით გამოხმაურება; დამაზუსტებელი შეკითხვების დასმა, თანამოსაუბრის პერიფრაზირება, ძირითადი აზრის გაანალიზება). ასეთი მოსმენა იწვევს „ნდობას“, „თანაგანცდას“, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის კომუნიკაციის პროცესს.

მაგრამ სხვის საუბარს სინამდვილეში ბევრი საერთოდაც არ უსმენს. არადა, ყველანაირ საქმეში წარმატების საწინდარი სწორედ ეს უნარია. ამიტომაცაა, რომ გაკვეთილზე მასწავლებლების ძალისხმევის დიდი ნაწილი მოსწავლეებში მოსმენა/გაგების უნარების გამომუშავებისა და გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ისინი მუდმივად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამ უნარების სრულყოფაში, ხშირად ეკითხებიან:

- „ვისთან ურთიერთობა გვანიჭებს დიდ სიამოვნებას – ვინც ბევრს საუბრობს, თუ მასთან, ვინც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ, თავად კი სიამოვნებით გვისმენს?“

მოვისმინო/ვუსმინო / გავიგონო /გავიგო ანუ მოსმენა/გაგება მოსწავლის შემეცნების პროცესში უმნიშვნელოვანესია. „მოისმინო სწორად და გაიგო ის, რაც საჭიროა“ – ეს მთელი ხელოვნებაა და მისი სწავლა შესაძლებელია. არსებობს ცალკეული სავარჯიშოებიც, რომლებიც ეფექტურია შედეგის თვალსაზრისით. სასურველია, მასწავლებლებმა ასეთი სავარჯიშოები დროდადრო ჩასვას საგაკვეთილო პრაქტიკაში და მოსწავლეებს მოსმენა/გაგების თვალსაზრისით წინსვლაში დაეხმაროს. მაგალითად, ასეთია **სავარჯიშო „არასწორი მოსმენა“**. მისი მიზანია, გააზრებინოს მოსწავლეს, რა მნიშვნელობა აქვს მოსმენას ეფექტური ურთიერთობისთვის. კონკრეტულად:

- სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს, გამოვიდეს კლასის წინაშე და ისაუბროს, მაგალითად, ბოლოს ნანახი ფილმის, წაკითხული წიგნის ან თავგადასავლის შესახებ. მისი საუბრის დროს კი შეასრულეთ „ცუდი მსმენელის“ როლი, ანუ არ მიაქციოთ ყურადღება, მიმოიხედეთ ირგვლივ, ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს მოიწყინეთ, წარამარა დახედეთ საათს.
- რამდენიმე წუთის შემდეგ შეაჩერეთ თამაში და სთხოვეთ კლასს, აპლოდისმენტებით დააჯილდოოს მოსწავლე;
- შემდეგ კი დასვით შეკითხვები:
    - ვუსმენდი თუ ვსაუბრობდი?
    - როგორ გაიგეთ, როგორ მიხვდით, რომ არ ვუსმენდი?
    - რომელი ქმედებით მიხვდით, რომ არ ვუსმენდი?
    - როგორ მოიქცა მოსწავლე, როცა მიხვდა, რომ არ ვუსმენდი?
    - თქვენი აზრით, რას გრძნობდა, როდესაც არ ვუსმენდი?

ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა ეხმარება მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, გამოხატონ ემოციები და გაიაზრონ ზოგადად „მოსმენის“ მნიშვნელობა.

„მოსმენა“ და „გაგონება“ მსგავსი, მაგრამ მაინც სხვადასხვა ცნებებია. მოსმენის უნარი საკმაოდ იშვიათი უნარია. ის მოიცავს „გაგონებასაც“, ანუ უშუალოდ თანამოსაუბრის მოსმენის უნარს (და არა მოსმენილზე საკუთარი წარმოსახვების შექმნის უნარს) და თანაც ისეთ მოსმენას, როცა გეუფლებათ განცდა, როგორი გულახდილია თქვენი თანამოსაუბრე. მოსმენა გვეხმარება კომუნიკაციაში, თანამოსაუბრის თვალთახედვის გაგებაში. ეს საშუალებას გვაძლევს, მთხრობელს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გავამახვილებინოთ ყურადღება.

განვიხილოთ კონკრეტული სავარჯიშო: „მოვუსმინოთ მასწავლებელს“

ინსტრუქცია: მასწავლებელი წაიკითხავს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „მუდამ მწვანე ხეები“. მოსმენილის მიხედვით მოსწავლეები რამდენიმე წუთის განმავლობაში შეავსებენ წინასწარ მომზადებულ კითხვარს, რომელსაც მასწავლებელი ტექსტის წაკითხვის შემდეგ კლასში დაარიგებს:

„ერთმა შოშიამ ფრთა მოიტეხა და ამხანაგებს თბილ ქვეყნებში ვერ გაჰყვა. ფრთამოტეხილი შოშია მიფრინდა მუხასთან და სთხოვა:

– ძლიერო მუხავ! შეიძლება, ზამთარი შენს ტოტებზე გავატარო?

– მალე ფოთლები დამცვივდება და ჩემი ტოტები ბინად არ გამოგადგება, – მიუგო მუხამ.

დაღონებულმა ჩიტუნამ ცაცხვისაკენ გასწია.

– ფოთლები მეც ჩამომცვივა და სიცივისაგან ვერ დაგიფარავ, – მიუგო ცაცხვმა.

– მოდი ჩემთან, ჩიტუნია, – ალერსით ჩამოსძახა ნაძვმა, – ჩემს ტოტებში გაატარე ზამთარი.

მალე ცივმა ქარმა დაუბერა. მუხისა და ცაცხვის ფოთლები ქარს აქეთ-იქით მიჰქონდა. ნაძვს კი მთელი ზამთარი წიწვი არ გასცვენია და შოშიას სითბო არ მოჰკლებია“.

კითხვარი

N	**შეკითხვა**	**სწორია / მცდარია**
1	შოშიას სუსტი ფრთები ჰქონდა.	
2	თბილი ქვეყნები შორს იყო.	
3	მუხის ხე მძლავრი იყო, რადგან შოშიას მასზე ბუდის გაკეთება უნდოდა.	
4	შოშია ამხანაგებმა მიატოვეს.	
5	მუხა და ცაცხვი შოშიას არ დაეხმარნენ.	
6	ცაცხვი მუხის მეზობლად იდგა.	
7	ნაძვი ცაცხვზე მაღალი იყო.	
8	ნაძვს ხშირი წიწვები აქვს.	
9	ცივმა ქარმა მუხასა და ცაცხვს ფოთლები გააცვივა.	

10	ნაძვის წიწვები თბილია და შოშიამ ზამთარი თბილად გაატარა.	

პასუხები

N	**შეკითხვა**		**პასუხი**
1	შოშიას სუსტი ფრთები ჰქონდა.	სწორია, რადგან შოშიას ფრთა მოტყდა.	მცდარია. არ ჩანს, შოშიამ ფრთა რის გამო მოიტეხა.
2	თბილი ქვეყნები შორს იყო.	სწორია. შოშია თბილ ქვეყნებში მიფრინავდა.	სწორია. მალე ცივმა ქარმა დაუბერა.
3	მუხის ხე მძლავრი იყო, ამიტომ მოინდომა შოშიამ მასზე ბუდის გაკეთება და გამოზამთრება.	სწორია. შოშიამ დახმარება მძლავრი მუხის ხეს სთხოვა.	უცნობია. არ ჩანს კონკრეტულად რის გამო უნდოდა შოშიას მუხის ხეზე გამოზამთრება.
4	შოშია ამხანაგებმა მიატოვეს.	სწორია. სხვა ჩიტები გაფრინდნენ და ფრთამოტეხილი შოშია მარტო ეძებს გამოსაზამთრებელ ალაგს.	უცნობია. არ ჩანს შოშია რატომ დარჩა მარტო, ამხანაგებმა მიატოვეს, თუ თავად არჩია მარტო დარჩენა.
5	მუხა და ცაცხვი შოშიას არ დაეხმარნენ.	მცდარია. მათ ფოთლები ცვიოდათ და არ შეეძლოთ დახმარება.	მცდარია. მუხას და ცაცხვს შოშიას დახმარებაზე უარი არ უთქვამთ, უბრალოდ, მათ არ შეეძლოთ მისი დახმარება.
6	ცაცხვი მუხის მეზობლად იდგა.	სწორია, რადგან შოშია მძლავრი მუხის შემდეგ ცაცხვთან მიფრინდა.	მცდარია. არ ჩანს ცაცხვი მუხის გვერდით იდგა თუ არა.
7	ნაძვი ცაცხვზე მაღალი იყო.	სწორია. ნაძვი ცაცხვზე მაღალია.	დიახ. ნაძვმა ჩამოსძახა შოშიას, როცა ის ცაცხვს დახმარებას სთხოვდა, ესე იგი ნაძვი ცაცხვზე მაღალი იყო.

8	ნაძვს ხშირი წიწვები აქვს.	სწორია. ნაძვის ტოტებს უამრავი წიწვი აქვს.	უცნობია. არ ჩანს ნაძვის წიწვები ხშირია თუ არა.
9	ცივ ქარმა მუხასა და ცაცხვს ფოთლები გააცვივა.	სწორია. მალე ცივმა ქარმა დაუბერა და მუხისა და ცაცხვის ფოთლები აქეთ-იქით მიჰქონდა.	უცნობია. არ ჩანს მუხასა და ცაცხვს ფოთლები რატომ გასცვივდათ, ჩანს მხოლოდ ის, რომ მათი ფოთლები ქარმა წაიღო.
10	ნაძვის წიწვები თბილია და შოშიამ ზამთარი თბილად გაატარა.	უცნობია. არ ჩანს, ნაძვის წიწვები თბილია თუ არა, ჩანს მხოლოდ ის, რომ ისინი ზამთარში არ ცვივა და ამის გამო ჩიტუნას ბუდედ გამოადგა.	

კითხვარის დამუშავება/განხილვის ეტაპზე მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს:

- ვის აქვს შეცდომები? (ზოგადად უმეტესობა შეცდომით ავსებს მსგავსი ტიპის კითხვარს);
- რატომ გაქვთ ამდენი შეცდომა? (მეტწილად ეს არის მათი წარმოსახვების, ტექსტის საკუთარი ინტერპრეტაციის შედეგი);
- რა დასკვნა გააკეთეთ სავარჯიშოს მიხედვით?
- როგორ გავექცეთ მსგავს შეცდომებს?

მსგავსი სავარჯიშოები ხელს უწყობს მოსმენისა და გაგება/გააზრების უნარების გამომუშავებას. ცხადყოფს, რამდენად რეალურია საფრთხე, რომ მოსწავლემ საკუთარი წარმოსახვებისა და წინასწარი გამოცდილების საფუძველზე იმსჯელოს. ასეთი ფორმით შედგენილი სავარჯიშო უბიძგებს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ მოსმენილზე, ინფორმაციის მიღებასა და გადამუშავებას შორის კავშირზე, თანამოსაუბრის სწორად გაგებაზე, უბიძგებს მათ აქტიური მოსმენისკენ, იმის აღქმა/გააზრებისკენ, რაზედაც მიდის საუბარი.

ამგვარი მიდგომებით დავეხმარებით მოსწავლეებს მოსმენის უნარის გამომუშავებასა და გაუმჯობესებაში, ვუბიძგებთ საკუთარ თავზე მუშაობისკენ და გაცილებით ეფექტიან აკადემიურ შედეგზეც გავალთ.